

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების მისაღწევად იგი ქმნის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და სისტემატურად ახორციელებს თავისი საქმიანობის შიდა შეფასებას.

სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება ყოველი კურსის (საგნის/მოდულის) დასრულების შემდეგ.

სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის სტუდენტების, ლექტორებისა და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა. ამისათვის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი მიმართავს ლექტორებისა და სტუდენტების ზეპირი გამოკითხვის (ინტერვიუების) ფორმას. გამოკითხვის ჩატარება, შედეგების ანალიზი წარმოადგებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ან ცალკეული პროგრამები) აგრეთვე მიმართავენ სხვადასხვა სახის კვლევებს, რის შედეგებსაც უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი სასწავლო პროცესის ხარისხის შესამოწმებლად ასევე მიმართავს ანკეტური გამოკითხვის მეთოდს, რომლის მიზანიცაა:

- ა) დაადგინოს რამდენად ადექვატურად მიმდინარეობს სასწავლო კურსი
- ბ) შეაფასოს საკითხავი მასალის შესაბამისობა და აქტუალობა
- გ) განსაზღვროს ლექტორის პროფესიონალიზმი
- დ) დაადგინოს მიღწეული შედეგის შესაბამისობა დასახულ მიზნებთან

ყოველი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებსა და ლექტორებს ურიგდებათ კურსისა და ჯგუფის შეფასების კითხვარები, რომელთა შედეგების მიხედვით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება. შევსებული ფორმები და მათში ასახული ინფორმაცია კონფიდენციალურია.

სასწავლო ხარისხის გაუმჯობესებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ამტკიცებს შიდა შეფასების ფორმებს, კერძოდ:

ა) გავლილი კურსის შეფასების ფორმას (იხ. დანართი # 1)

ბ) ლექტორის ანგარიშის ფორმას (იხ. დანართი # 2)

დანართი # 1

გავლილი კურსის შეფასების ფორმა

ბლოკი #1 - საგანი:

1. კურსის გავლამ ჩემი ცოდნა მოცემულ სფეროში:

- 1. მნიშვნელოვნად გააუმჯობესა
- 2. გააუმჯობესა
- 3. უმნიშვნელოდ გააუმჯობესა
- 4. ვერ გააუმჯობესა

შენიშვნა:

2. რამდენად შეესაბამებოდა და ადეკვატური იყო საგნის დასახელება მის შინაარსთან?

- 1. კარგად შეესაბამებოდა
- 2. საშუალოდ შეესაბამებოდა
- 3. არ შეესაბამებოდა

შენიშვნა:

3. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული საგნის სწავლა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში?

- 1. ძალიან მნიშვნელოვანია
- 2. მნიშვნელოვანია
- 3. მეტნაკლებად მნიშვნელოვანია
- 4. არ არის მნიშვნელოვანი

შენიშვნა:

ბლოკი #2 - ლექტორი:

1. ლექტორის **მუშაობა ჯგუფთან** იყო (იგულისხმება გუნდური და ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტებთან):

- 1. ძალიან ეფექტური
- 2. ეფექტური
- 3. არც თუ ისე ეფექტური
- 4. სრულიად არა ეფექტური

შენიშვნა:

2. ლექტორის **ორგანიზებულობა** იყო (იგულისხმება დაგვიანება, გაცდენა, ნიშნების დროული მოწოდება):

- 1. ძალიან კარგი
- 2. კარგი
- 3. დამაკმაყოფილებელი
- 4. არადამაკმაყოფილებელი

შენიშვნა:

3. ლექტორის **პროფესიონალიზმი** იყო (იგულისხმება მისი მოტივაცია, გადმოცემის უნარი, ახსნილი მასალის სიცხადე)

- 1. ძალიან კარგი
- 2. კარგი
- 3. დამაკმაყოფილებელი
- 4. არადამაკმაყოფილებელი

შენიშვნა:

4. ლექტორის **კომუნიკაცია ჯგუფში** იყო (იგულისხმება დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორც e-Mail-ზე, ასევე ინდივიდუალურ შეხვედრებსა და ლექციაზე):

- 1. ძალიან ეფექტური
- 2. ეფექტური
- 3. არც თუ ისე ეფექტური
- 4. სრულიად არა ეფექტური

შენიშვნა:

5. ლექტორის მიერ მოყვანილი **პრაქტიკოსი სტუმრის პრეზენტაცია** საგანთან შესაბამისობის, ადეკვატურობის მიხედვით იყო:

- 1. სრულიად შესაბამისი
- 2. შესაბამისი
- 3. არც თუ ისე შესაბამისი
- 4. სრულიად არა შესაბამისი

შენიშვნა:

ბლოკი #3 - მასალა:

1. მოწოდებული მასალა იყო:

- 1. არასასურველად ბევრი
- 2. შესაბამისი/საჭირო მოცულობის
- 3. სასურველზე მცირე

შენიშვნა:

2. მოწოდებული მასალა საკითხების/კურსის მსვლელობას:

- 1. კარგად შეესაბამებოდა
- 2. საშუალოდ შეესაბამებოდა
- 3. არ შეესაბამებოდა

შენიშვნა:

ბლოკი #4 - კურსის ტექნიკური უზრუნველყოფა:

1. *ელექტრონული მასალის ტექნიკური მხარე* (იგულისხმება მოწოდებული მასალის ხარისხი, მასალის დროული მოწოდება):

- 1. ძალიან კარგი
- 2. კარგი
- 3. დამაკმაყოფილებელი
- 4. არადამაკმაყოფილებელი

შენიშვნა:

2. *საღიგეო პროცესის ტექნიკური მხარე* (იგულისხმება: კომპიუტერისა და პროექტორის გამართულობა, აუდიტორიის კეთილმოწყობა):

- 1. ძალიან კარგი
- 2. კარგი
- 3. დამაკმაყოფილებელი
- 4. არადამაკმაყოფილებელი

შენიშვნა:



სკოლა

პროგრამა

ლექტორის მიერ შესავსები მოკლე კითხვარი

1. ლექტორის სახელი გვარი:
2. კლასის დასახელება:
3. სასწავლო კურსის დასახელება:
4. წელი და თვე (დაწყების და დასრულების):
5. ჯგუფის მოკლე დახასიათება:
6. სასწავლო კურსის მიზანი დაწყებისას:
7. სასწავლო კურსის დასასრულს რამდენად არის მიზანი მიღწეული:
8. ჯგუფის ძლიერი მხარე:
9. ჯგუფის სუსტი მხარე:
10. ლექტორის რეკომენდაციები: